რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№293/თ

„31“ ივლისი, 2020 წელი

ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის თაობაზე

„სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების დანართი №1-ის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოები წარმოადგენენ ვირუსის გავრცელების ***საშუალო რისკის შემცველ ობიექტებს.*** ამდენად, დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საჭიროა თანმიმდევრული და სისტემურად გამართული პრევენციული ღონისძიებების დაცვა, რათა მოხდეს დასაქმებულთა დაინფიცირების რისკის გამორიცხვა ან მინიმუმამდე დაყვანა

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთვის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების დანართი №1 და დანართი №3-ით გათვალისწინებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 5 ივნისს დამტკიცებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სასამართლოს თანამშრომლების და სასამართლოს მომხმარებელთა ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ***რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მანდატურებმა უზრუნველყონ*** სასამართლოს შენობაში მომსვლელ პირთა (მათ შორის მასმედიის წარმომადგენელთა) არამიზნობრივი გადაადგილების შეზღუდვა. მოქალაქე სასამართლოს შენობაში, მათ შორის სხდომის დარბაზში დაუშვან მხოლოდ პირბადის გამოყენებით;

2. ***რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მანდატურები*** ვალდებული არიან სასამართლოში შემომსვლელ პირებს მოსთხოვონ პირბადის გაკეთება და

ტარება, მიუხედავად იმისა თუ რა სტატუსით იმყოფება პირი სასამართლოში. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მომსვლელი *პირი შენობაში არ დაიშვება;*

3. *რუსთავის საქალაქო სასამართლოში მანდატურის სამსახურის უფროსის მიერ უწყისით განსაზღვრულ მანდატურს, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში №2 საგუშაგოზე გამწესებულ მანდატურს* დაევალოს პირბადის, რეზინის ხელთათმანის და დამცავი ფარის გამოყენებით განახორციელოს შენობაში შემომსვლელი (შემოსვლის მიზეზის მიუხედავად) პირებისთვის ტემპერატურის შემოწმება და სადეზინფექციო საშუალებებით ხელების დამუშავება;

4. *რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლებს დაევალოთ, მოქალაქესთან კომუნიკაციისას დაიცვან რეკომენდაციებით გათვალისწინებული 2 მეტრიანი დისტანცია, ამასთან სასამართლოს მომხმარებელთან კომუნიკაცია დაამყარონ მხოლოდ დროებით დამონტაჟებული გამყოფი მინის ფარის გამოყენებით, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში პირბადით, ხელთათმანებით და დამცავი ფარით ან სათვალით აღჭურვილმა;*

5. *რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლებს* დაევალოთ *სახის დამცავი ნიღბების ტარება სასამართლო შენობაში, მათ შორის სხდომის დარბაზში.* ნიღბის მოხსნა დასაშვებია მხოლოდ სასამართლო შენობის დატოვებისას;

6. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა *მისაღები განყოფილების თანამშრომლებს, მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს* და შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ პირს, დამხმარე მოსამსახურეს - *მარიამ გაზაშვილს,* სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაევალოთ მოქალაქესთან უშუალო კომუნიკაციისას, ნიღბებთან ერთად, ხელთათმანების და სახის დამცავი ფარის ან დამცავი სათვალეების ტარება სასამართლოს შენობაში;

7. *რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლებმა* უზრუნველყონ *დღეში რამდენჯერმე* დახურული სივრცეების, სამუშაო ოთახების, სხდომის დარბაზების, ცენტრალური ფოიეების ბუნებრივი ვენტილაცია;

8. იმის გათვალისწინებით, რომ დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა მოსაცდელი საკნები განთავსებულია მიწისქვეშა სივრცეში, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მანდატურებს დაევალოთ *უწყვეტ რეჟიმში მოახდინონ მათი სისტემატური ვენტილაცია არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;*

9. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში მომსვლელი პირის მიზანს წარმოადგენს კორესპოდენციის დატოვება, რასაც ვერ ახერხებს ელექტრონული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ამასთან არ გააჩნია პირბადე, *რუსთავის საქალაქო სასამართლოში - შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ პირს, დამხმარე მოსამსახურეს მარიამ გაზაშვილს, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში - №2 საგუშაგოზე მყოფ მანდატურს* (პირბადის, დამცავი ხელთათმანების და დამცავი ფარის გამოყენებით) დაევალოს მომხმარებლისგან მიიღოს კორესპოდენცია შენობის გარეთ და კანცელარიაში აღნიშნული დოკუმენტების ჩაბარების შემდეგ უზრუნველყოს ჩაბარების დასტურის მოქალაქისთვის გადაცემა. მოქალაქესთან კომუნიკაციის დასრულების შემდეგ, რეკომენდაციებით გათვალისწინებული უსაფრთხოების

წესების დაცვით მოიხსნას სპეციალური დამცავი საშუალებები და განათავსოს სპეციალურ ურნაში (დახურულ კონტეინერში);

10. ვირუსული ინფექციისა და მისი გავრცელების პრევენციის შესახებ ინფორმაციის განთავსება მოხდეს დასაქმებულთა ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთათვის თვალსაჩინო ადგილას;

11. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს ფოიეებში მყოფ პირთა შორის დისტანციის დაცვის უზრუნველსაყოფად, განთავსდეს 2 მეტრიანი დისტანციის აღმნიშვნელი ნიშნულები ე.წ. სტიკერები;

12. რუსთავის საქალაქო სასამართლოს შესასვლელებთან (ცენტრალური შესასვლელი და შესასვლელი შენობის უკანა ეზოს მხრიდან), ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს შენობის შესასვლელთან და შენობის მე-2 სართულზე განთავსდეს დაზობარიერები, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით. დეზობარიერების გამოსაყენებლად ვარგისიანობაზე (დღის განმავლობაში, შესაბამისი სადეზინფექციო სითხით დეზობარიერის გაჟღინთვა იმ ინტესივობით, რომელიც საჭიროა დეზობარიერის დანიშნულებისამებრს გამოყენებისათვის) *კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსს გია გიგოლაშვილს და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მანდატურს ლაშა რევაზიშვილს;*

13. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს ადმინისტრაციულ ნაწილში თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს ხელის ჰიგიენური საშუალებები, ასევე იმავე ადგილას განთავსდეს ინფორმაცია მათი სწორად მოხმარების თაობაზე (დეზინფექტატორების გამართულ ფუნქციონირებაზე *კონტროლი განახორციელოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერმა გურამ კორკოტაშვილმა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსმა გია გიგოლაშვილმა და მაგისტრატი მოსამართლოს აპარატის მანდატურმა ლაშა მახათაძემ);*

14. *რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების მანდატური უფლებამოსილია* თუკი სასამართლოში მომსვლელ პირს აღენიშნება კორონა ვირუსისთვის დამახასიათებელი ნიშნები (ცხელება, ხველა, ქოშინი, სუნთქვის გაძნელება) მოახდინოს პირის იდენტიფიცირება და პირადი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი) შეგროვება, სასამართლოში გამოცხადების მიზეზის და კორონავირუსისთვის დამახასიათებელ გამოკვეთილი ნიშნების მითითებით, რის შემდეგაც მოუწოდოს ასეთ პირს სასამართლოს შენობის დატოვება და ექიმისთვის მიმართვა. მოწოდების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართავს 112-ს შემდგომი საპრევენციო ღონისძიებების გატარების მიზნით (ასეთი პირი სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ექიმის კონსულტაციის შედეგად იმავე თარიღით გაცემული ცნობით დასტურდება, რომ პირს არ აქვს კორონა ვირუსი ან მისთვის დამახასიათებელი სიმპტომები);

15. გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების განსათავსებელი სპეციალური ურნები (დახურული კონტეინერები), რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი, განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს ცენტრალურ ფოიეებში და ადმინისტრაციულ ნაწილში. სპეციალური ურნების შენობიდან დროულად გატანა, სავალდებულოდ დამცავი ხელთათმანების გამოყენებით,

უზრუნველყოს *სასამართლოს შენობის სისუფთავეზე პასუხისმგებელმა პირმა, რუსთავის საქალაქო სასამართლოში - მორიგე დამლაგებელმა, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში - დამლაგებელმა, დიანა მშვენიერაძემ;*

16. *რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მანდატურებს დაევალოთ,* უზრუნველყონ შენობის ფოიეში მხოლოდ იმ რაოდენობის პირის დაშვება, რამდენიც გათვალისწინებულია შესაბამისი ნიშნულებით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მომხმარებელთა რაოდენობა აღემატება განთავსებულ ნიშნულებს, მანდატური ვალდებულია უზრუნველყოს რიგის დაცვა შენობის გარეთ რეკომენდაციებით გათვალისწინებული 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით;

17. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს სხდომის დარბაზებში დამსწრე პირთა განსათავსებელ სკამებზე განთავსდეს 2 მეტრიანი დისტანციის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნები. აღნიშნულის შესაბამისად, *მანდატურმა უზრუნველყოს* სხდომის დარბაზში მოქალაქეთა მხოლოდ იმ რაოდენობით დაშვება, რამდენიც განსაზღვრულია შესაბამისი მონიშვნებით;

18. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე 2 მეტრიანი დისტანციის შემცირება დასაშვებია სხდომის დარბაზის ფართის გათვალისწინებით (არანაკლებ 1.5 მეტრამდე). იმ შემთხვევაში, თუ ერთ დარბაზში შეუძლებელი იქნება გამოცხადებულ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატთა განთავსება, სხდომის წარსამართად გამოყენებულ იქნეს დისტანციური ჩართვის შესაძლებლობა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მე-4 და მე-7 დარბაზებს შორის (№4 სხდომის დარბაზში შესაძლებელია განთავსდეს 25 ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი, რის შემდეგაც კანდიდატთა განთავსება მოხდება №7 სხდომის დარბაზში, სადაც შესაძლებელია განთავსდეს დამატებით 10 ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი), რაც შესაძლებელს გახდის ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის შეუფერხებელ წარმართვას, მსაჯულთა თვითაცილების ეტაპის ჩათვლით. შემდგომი ეტაპები ჩატარდეს უშუალოდ ნაფიც მსაჯულთა №4 სხდომის დარბაზში, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა თვით აცილების შემდგომ გამონთავისუფლებული ადგილები;

19. *ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომისთვის:* ა) №4 სხდომის დარბაზის წინ განთავსდეს სარეგისტრაციო მაგიდა (ერთ პირზე, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს პირბადით, დამცავი ფარით და დამცავი ხელთათმანებით), სადაც უნდა მოხდეს გამოცხადებულ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატთა რეგისტრაცია; ბ) ნაფიც მსაჯულთა კანდიდატს რეგისტრაციის გავლის შემდეგ დარბაზში შეყვანამდე დაუმუშავდეს ხელები სადეზინფექციო ხსნარით; გ) იმ შემთხვევაში, თუ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატს აღენიშნება კორონა ვირუსისთვის დამახასიათებელი ნიშნები, აღნიშნულის თაობაზე №1 საგუშაგოს მანდატურმა დაუყოვნებლივ შეატყობინოს სასამართლოს მენეჯერს და სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში, ამასთან იმოქმედოს ბრძანების მე-14 პუნქტის შესაბამისად; დ) სასამართლოს შენობის ფოიეში გამოცხადებულ კანდიდატებთან შეხვედრა და დახმარება სარეგისტრაციო მაგიდამდე მისვლაში მოახდინოს *№1 საგუშაგოს და სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრულმა მანდატურმა,* რომლებიც აღჭურვილნი უნდა იყვნენ პირბადეებით და დამცავლი ხელთათმანებით; ე) ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მიმდინარეობისას უნდა იმყოფებოდნენ მე-4 დარბაზში სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში ზურაბ ჭაჭაშვილი, ხოლო მე-7 დარბაზში მოხელე განისაზღვრება კონკრეტულ დღეს შედარებით ნაკლები დატვირთვის მქონე მოსამართლის შემადგენლობიდან, რომლებიც აღჭურვილნი უნდა იყვნენ პირბადეებით, დამცავი ხელთათმანებით და დეზინფექტატორებით; ვ) მე-4 სხდომის დარბაზში ზურაბ ჭაჭაშვილმა

უზრუნველყოს ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებისთვის მიკროფონის მიწოდება და მიწოდებამდე მისი დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით (სადეზინფექციო ხსნარით დასველებული ჩვრით); ზ) მე-7 სხდომის დარბაზში ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებმა თვითაცილება შეუძლიათ განაცხადონ დარბაზში არსებული მოწმის კათედრის მიკროფონში; თ) №4 სხდომის დარბაზში ადგილის გამოთავისუფლების შემთხვევაში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსის მიერ მე-7 დარბაზში გამწესებულმა მანდატურმა უზრუნველყოს მე-7 დარბაზიდან მე-4 დარბაზში ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა გადაყვანა; ვ) ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მიმდინარეობისას სხდომის დარბაზის ფანჯრები უნდა იყოს ღია მდგომარეობაში. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე ორგანიზაციული საკითხების განუხრელად შესრულებაზე ***კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს გურამ კორკოტაშვილს, მანდატურის სამსახურის უფროსს გია გიგოლაშვილს და ქსელის ადმინისტრატორს ნელი უფლისაშვილს;***

20. ***რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების თანამშრომლებმა (მათ შორის დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე მყოფმა)*** მოახდინონ მხარეების და დაინტერესებული პირების ინფორმირება ელექტრონული, ტექნიკური საშუალებებით სასამართლოში არსებული დისტანციური სერვისების თაობაზე, მოუწოდონ, რომ ისარგებლონ სასამართლო საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სერვისით (www.ecourt.ge) და საქართველოს ფოსტით;

21. ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწეებს და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს სხდომის მდივნებს*** დაევალოთ საქმის მომზადებისას უპირატესად მხარეებს შესთავაზონ შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით პროცესების დისტანციურად წარმართვა;

22. ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამშემწეებმა და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნებმა*** სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გზავნილებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მხარეებისთვის ჩაბარება მოახდინონ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

23. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომელი ***არ გამოცხადდეს*** სამუშაო ადგილას თუ მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ან თუ მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ ვირუსის მატარებელ პირთან (მოცემულ შემთხვევაში მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით). აღნიშნულის თაობაზე მოხელე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს სასამართლოს მენეჯერს.

24. ***რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლებს*** დაევალოთ დაუყოვნებლივ შეატყობინონ სასამართლოს მენეჯერს თუ აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვს დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), რათა შეფასდეს თანამშრომლის სამუშაო სპეციფიკა და ინდივიდუალური მახასიათებლები, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში მიეცეს უფლება არ გამოცხადდნენ სამუშაო ადგილას. იმ მიზნით, რომ განისაზღვროს მიეკუთვნებიან თუ არა ვირუსული ინფექციის გართულებების მაღალი რისკის მქონეებს, ***სასამართლოს მენეჯერს გურამ კორკოტაშვილს დაევალოს*** შეაგროვოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს

თანამშრომელთა შემდეგი სახის ინფორმაცია: ასაკი, ქრონიკული დაავადებები: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა, სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები და სხვა. აღნიშნული ინფორმაციის დაცვას და გაუმჟღავნებლობას უზრუნველყოფს სასამართლოს მენეჯერი. ინფორმაცია წარედგინოს მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარეს, რათა შეფასდეს და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, შესაძლებლობის შემთხვევაში, დასაქმებულის სამუშაო სპეციფიკისა და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, მიეცეთ შესაძლებლობა არ გამოცხადდნენ სამუშაო ადგილას;

25. *რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს - გურამ კორკოტაშვილს, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსს - მაია იასეშვილს და მანდატურის სამსახურის უფროსს - გია გიგოლაშვილს დაევალოთ,* მოუწოდონ თანამშრომლებს, ხშირად და გულდასმით დაიბანონ ხელები;

26. *რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მანდატურებს დაევალოთ* მოუწოდონ შენობაში მყოფ მოქალაქეებს, დაიბანონ ხელები და მიუთითონ ხელის დასაბანი ადგილისკენ. ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში ხელები დაუმუშავონ სასამართლოში არსებული სადეზინფექციო ხსნარით (აღნიშნული არ გამორიცხავს სასამართლოს მომხმარებლის შენობაში შემოსვლისას მანდატურის მიერ ხელების დამუშავების ვალდებულებას);

27. *რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს - გურამ კორკოტაშვილს, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსს - მაია იასეშვილს და მანდატურის სამსახურის უფროსს - გია გიგოლაშვილს, დაევალოთ* მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები სისტემატიურად გააფრთხილონ, რომ ავად ყოფნის შემთხვევაში დარჩნენ სახლში;

28. *რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს - გურამ კორკოტაშვილს, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსს - მაია იასეშვილს და მანდატურის სამსახურის უფროსს - გია გიგოლაშვილს დაევალოთ* ყოველი სამუშაო კვირის დაწყებისას მათდამი დაქვემდებარებულ თანამშრომლებს ჩაუტარონ ინსტრუქტაჟი დამცავი პირბადეების, ხელთათმანების და ფარების უსაფრთხო გამოყენების თაობაზე. დამატებითი საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომელთა სრულყოფილად ინფორმირების მიზნით, კონსულტაცია გაიარონ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს ცენტრთან;

29. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას იმ პირთა დაუყოვნებლივი იზოლაცია, რომელთაც გააჩნიათ ვირუსული ინფექციის ნიშნები ან სიმპტომები, დადგინდეს შემდეგი სავალდებულო მოთხოვნები: ა) ერთ სამუშაო სივრცეში მყოფმა თანამშრომელმა ერთმანეთთან ურთიერთობისას მუდმივად *დაიცვან რეკომენდაციებით გათვალისწინებული 2 მეტრიანი დისტანცია;* ბ) სამუშაო სივრცეში მუდმივად *ატარონ პირბადეები და არ მოიხსნან სასამართლოს შენობის დატოვებამდე;* გ) *არ გამოიყენონ ერთმანეთის პირადი მოხმარების ნივთები* (ჭიქა, კოვზი, თეფში და ა.შ.); დ) მაქსიმალურად *შეზღუდონ ურთიერთობა* თანამშრომლებთან, რომლებიც განთავსებულნი არიან სხვა სამუშაო სივრცეში და მათთან კომუნიკაცია დაამყარონ ტელეფონით ან სხვა ელექტრონული საშუალებით; ე) რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლებმა კონკრეტული საჭიროების გარეშე *არ დატოვონ სამუშაო სივრცე/ოთახი* და არ შევიდნენ კომუნიკაციაში სხვა სამუშაო ოთახში მყოფ პირთან, რომელთანაც არ აქვს კონკრეტული სამსახურეობრივი საკითხი; ვ)

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერმა აღრიცხოს თითოეულ სამუშაო სივრცეში განთავსებულ პირთა ვინაობა; ზ) *აიკრძალოს სამუშაო ოთახის თვითნებური შეცვლა;* თ) იმ შეთხვევაში თუ რომელიმე სამუშაო ოთახში თანამშრომელს გამოუვლინდა ვირუსული ინფექციის ნიშნები ან სიმპტომები, ამ სამუშაო ოთახში მყოფი პირები დაუყოვნებლივ გადაყვანილი იქნენ ერთ კვირიან მონაცვლეობით სამუშაო რეჟიმზე; ი) ინტენსიური კავშირი დამყარდეს ვირუსული ინფექციის ნიშნების და სიმპტომების მქონე პირთან; კ) განისაზღვროს შემდგომი სამოქმედო გეგმა შემხებლობაში მყოფი თანამშრომლების თვითიზოლაციისა და კარანტინზე გადაყვანის მიზნით; ლ) დამატებით გასატარებელ ღონისძიებებზე კონსულტაციებისთვის მიემართოს რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს ცენტრს.

30. *რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარ კოსულტანტებს - მოსამართლის თანაშემწეებს ელენე ომიაძეს და მაგდა შენგელიას მიეცეთ უფლება,* სამუშაო შეასრულონ დისტანციურად, რაც არ გულისხმობს სამუშაო საათების შემცირებას ან შვებულებაში გაშვებას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციური შრომის რეჟიმში მყოფი თანამშრომელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს სამსახურში;

31. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემილოგიური მდგომარეობა გამოიწვევს საგანგებო რეჟიმზე გადასვლას, დაუყოვნებლივ მოხდეს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლების თითო კვირიანი მონაცვლეობით რეჟიმზე გადაყვანა თანდართული გრაფიკების მიხედვით. სიტუაციის გართულების შემთხვევაში, მართლმსაჯულების შეუფერხებლად განსახორციელებლად გამოყენებულ იქნეს მოხელეები, რომლებიც იმყოფებიან დისტანციურ რეჟიმზე, ასევე პირები რომლებიც სამუშაო ფუნქციებს ასრულებდნენ ნაკლები რისკის შემცველ სამუშაო სივრცეებში;

32. *რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს - გურამ კორკოტაშვილს, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსს - მაია იასეშვილს და მანდატურის სამსახურის უფროსს - გია გიგოლაშვილს დაევალოთ* სამუშაო ადგილების იმგვარი განლაგება, რომ დასაქმებულებს შორის დაცული იყოს 2 მეტრიანი დისტანცია;

33. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლებს მიეცეთ სანიტარული შესვენებები, სამუშაო სივრცეების გათვალისწინებით, რაც არ გამოიწვევს ისეთი თანამშრომლების თავშეყრას, რომლებიც არ მუშაობენ ერთ სამუშაო ოთახში;

34. *რუსთავის საქალაქო სასამართლოში მორიგე დამლაგებელმა, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში დამლაგებელმა დიანა მშვენიერაძემ* უზრუნველყოს ხშირად შეხებადი ზედაპირების (მოსამართლის და სხდომის მდივნის მაგიდის, კომპიუტერის, კლავიატურის და მაუსის, მხარეთა მაგიდების, მოწმის დაკითხვის ტრიბუნის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მაგიდის, მიკროფონის, გამყოფი მინის, სხდომის დარბაზების, საპირფარეშოს კარებებისა და ოთახების შიდა და გარე სახელურების, შუქის ჩამრთველ/გამომრთელი ღილაკების, მოქალაქეთა სარგებლობისთვის განკუთვნილი ტელეფონის აპარატების, მოქალაქეთა მისაღების სექტორში განთავსებული გამჭირვალე დამცავი ფარის, ფოიეში განთავსებული სასამართლოს თანამშრომელთა და მოქალაქეთა

საკომუნიკაციო მაგიდების, №1 და №2 საგუშაგოს მაგიდის ზედაპირების) შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება ყოველ 2 საათში;

35. ***რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლებმა უზრუნველყონ*** სამუშაო ინვენტარისა და მოწყობილობების (მათ შორის მობილურის/ქალაქის ტელეფონის, კლავიატურის და ა.შ.) დამუშავება რამდენჯერმე დღეში შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;

36. ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს - გურამ კორკოტაშვილს და მანდატურის სამსახურის უფროსს - გია გიგოლაშვილს*** დაევალოთ, ყოველი კვირის სამშაბათ დღეს უზრუნველყონ დასუფთავებაზე პასუხიმსგებელ პირებს მიაწოდონ ინფორმაცია უსაფრთხო მუშაობის პროცედურებისა და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ;

37. ***რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლებს დაევალოთ:*** ა) სამუშაო ადგილზე დაიცვან ჰიგიენის წესები; ბ) სამუშაო პროცესი განახორციელონ საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად; გ) საფუძვლიანად დაიბანონ ხელები წყლითა და საპნით, ხოლო დაბანის შემდგომ კარგად გაიმშრალონ. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში გამოიყენონ სპირტის შემცველი ან/და ანალოგიური თვისებების მქონე ხელის საწმენდი სადეზინფექციო საშუალებები; დ) მისალმებისას არ ჩამოართვან ხელი ერთმანეთს; ე) მოერიდონ სხვა დასაქმებულებთან/მესამე პირებთან შეხებას; ვ) მოერიდონ თავშეყრას; ზ) დაიცვან უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მეტრი)

38. რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2019 წლის 17 დეკემბრის №535/თ ბრძანებით განსაზღვრულმა საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის სანიტარულმა ჯგუფმა (ჯგუფის უფროსი - თემურ ლომიძე, წევრები: ნატო ძლიერიშვილი და მაგდა შენგელია) და საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რგოლმა (ჯგუფის უფროსი - გიორგი დვალიშვილი, წევრი: ეკატერინე ბერიძე) უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციების თითოეული თანამშრომლისთვის მიწოდება;

39. ***რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების მოსამართლეებმა და თანამშრომლებმა*** ყოველი სამუშაო დღის დაწყებისას უზრუნველყონ პირადი სხეულის ტემპერატურის კონტროლი და ინფორმაციის მიწოდება მოსამართლის თანაშემწე ***ბადრი ოთარაშვილისთვის,*** რომელიც ამ მიზნით უზრუნველყოფს სააღრიცხვო ბარათების წარმოებას და შენახვას;

40. ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერმა - გურამ კორკოტაშვილმა და მანდატურის სამსახურის უფროსმა გია გიგოლაშვილმა უზრუნველყონ*** რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოებისთვის პირბადეების, დამცავი ხელთათმანების, სადეზინფექციო სითხის, ხელსახოცების, ელექტრო გენერატორების საწვავის ერთ კვირიანი ხელშეუვალი მარაგის შექმნა, რომელიც გათვალისწინებული იქნება ასეთი საშუალებების დეფიციტის წარმოქმნისას ან ელექტროენერგიის მომარაგების შეფერხების შემთხვევაში. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების წყლის ავზები

მუდმივად უნდა იყოს გადავსებულ მდგომარეობაში, ცენტრალური წყალმომარაგების დაზიანების შემთხვევაში ჰიგიენური წესების დაცვის უზრუნველსაყოფად;

41. შესაძლებლობის შემთხვევაში შეიქმნას თერმომეტრის ელემენტების, კომპიუტერის მიკროფონების, დინამიკების და ვებ. კამერების მარაგი;

42. შემუშავებულ იქნეს საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა;

43. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

44. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2019 წლის 17 დეკემბრის №535/თ ბრძანებით განსაზღვრულ *საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის სანიტარულ ჯგუფს, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რგოლს, მანდატურის სამსახურის უფროსს და სასამართლოს მენეჯერს;*

45. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლებს და მოსამართლეებს;

46. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის თაობაზე“ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 9 ივნისის №177/თ ბრძანება;

47. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარე